გრგ ალბომი

გრგ ალბომი უნდა მოიცავდეს ცხრილში მოცემულ: ნაწილებს, შემადგენლობას და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ყვითლად მონიშნული ნაწილი არის საბჭოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აუცილებლად უნდა ქონდეს გრგ პროექტს საბჭოზე განსახილველად გასატანად.

გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით.
გრაფიკული ნაწილის მასშტაბების დიაპაზონი არის 1:500-1:5000.

გრგ ალბომს უნდა გააჩნდეს სარჩევი — შინაარსი, რაც მოცემული უნდა იყოს გრგ ნაწილების და მათი გვერდებზე მდებარეობის მიხედვით. შინაარსში აუცილებლად გამოიყოფა თავები და ქვეთავები, სურვილისამებრ მუხლები და პუნქტები.

გრგ ყველა ნაწილს, გარდა ტექსტურისა, უნდა გააჩნდეს შტამპი, სადაც მითითებული უნდა იყოს მისი განმახორციელებელი პასუხისმგებელი სპეციალისტები და დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერით მათ მიერ.

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
1	**TOR**	**TOR.1** გეგმარებითი დავალება	
		სამართლებრივი აქტი, რომლითაც დამტკიცდა დავალება (ბრძანება/დადგენილება/განკარგულება); გეგმარებითი დავალება (ძირითადი დოკუმენტი); ცვლილებები გეგმარებით დავალებაში (არსებობის შემთხვევაში)	
2	**CT.1** აღწერა	**CT.1.1** გამოყენებული შემოკლებები	
		დოკუმენტში გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფვრა	
		CT.1.2. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები	
		რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფვრა; ზონირების ნაწილში გამოყენებული უნდა იქნას მგგ დადგენილი ფერები	
		CT.1.3. გრაფიკული ნაწილების ნუსხა	
		ცხრილის სახით მოცემული უნდა იყოს რუკების/სქემების და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით	

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
3	CT.2 განმარტება	**CT.2.1 დაგეგმვის მიზანი და ამოცანები**	
		➢ განმარტებული უნდა იყოს დაგეგმვის ძირითადი მიზანი — რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; ➢ განმარტებული უნდა იყოს დაგეგმვის ამოცანები — რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ	
		CT.2.2 სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტ(ებ)ი	
		➢ დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მიწათსარგებლობის ზონებით დადგენილი რეგლამენტები: – ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; – განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; – გამონაკლისები — გადამეტებული პარამეტრები; – შენობათა განთავსების განსხვავებული წესი და საჭიროების შემთხვევაში გადამისამართება განაშენიანების რეგულირების წესებზე	
4	CT.3 ეფექტიანობის შეფასება	**CT.3.1 დაგეგმვის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება**	
		➢ განმარტებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში — გაწეული ხარჯები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი)	
5	CT.4 ეტაპები და რიგითობა	**CT.4.1 ეტაპები და რიგითობა**	*გრგ დამტკიცების ან/და ტერიტორიაზე განაშენიანების/გამოყენების ეტაპები და ამ ეტაპებში შენობა-ნაგებობების მშენებლობის რიგითობა*
		➢ მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე გრგ დამტკიცების ან/და ტერიტორიაზე განაშენიანების/გამოყენების ეტაპები; ➢ გრგ ეტაპებში შენობა-ნაგებობების მშენებლობის რიგითობა; ➢ ეტაპები და რიგითობა ასევე უნდა იყოს თემატური რუკის სახით წარმოდგენილი	

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
6	CV.1 საწყისი საკადასტრო მონაცემები	**CV.1.1 გეგმარებითი დავალების საკადასტრო მონაცემები** ➢ საკადასტრო გეგმები; ➢ ამონაწერები საჯარო რეესტრიდან	*გეგმარებითი დავალების გაცემის დროს დაფიქსირებული საკადასტრო მონაცემები*
7	CV.2 სიტუაციური გეგმა	**CV.2.1 სიტუაციური გეგმა** მინიმუმ უნდა მოიცავდეს: ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა (მ 1:2000-1:5000. გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური (UTM-კოორდინატთა სისტემაში) ნიშნულები; ➢ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობები და ქუჩათა ქსელი, საპროექტო ტერიტორიის მონიშვნით; ➢ გეგმაში გამოყენებული პირობითი აღნიშვნები და მასშტაბი (C.T.1. შესაბამისობით)	
8	CV.3 ტოპოგრაფიული გეგმა	**CV.3.1 ტოპოგრაფიული გეგმა** ➢ აზომილი ტერიტორიის კოორდინატთა ბადე და აბსოლუტური ვერტიკალურ ნიშნულებს (მათ შორის იზოჰიფსებს); ➢ აზომილი ტერიტორიის რელიეფის ყველა მახასიათებელს (გრუნტის ზედაპირი, ხე-ნარგავები და ა. შ.); ➢ ყველა შენობა-ნაგებობას (მათ შორის მიწისქვეშა, მიწისზედა და საჰაერო საინჟინრო კომუნიკაციები); ➢ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს; ➢ გეგმაში გამოყენებულ ტოპოგრაფიულ პირობით აღნიშვნებს და მასშტაბს (1:500-1:5000. გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით).	*1. მზადდება დადგენილი ტოპოგეოდეზიური სტანდარტების შესაბამისად;* *2. გრგ არაარსებითი კორექტირების შემთხვევაში (მიწის ნაკვეთის საზღვრების მცირე ცვლილება; არსებული შენობების მცირე რეკონსტრუქცია), განახლებული ტოპოგრაფიული აზომვა არ მოითხოვება.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
9	**CV.4 ფოტოფიქსაცია**	**CV.4.1 ფოტოსურათები** ➢ საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები, მინიშნებული გადაღების თარიღით (სტანდარტულ ფორმატში: რიცხვი, თვე, წელი) და დანომრილი. **CV.4.2 ფიქსაციის სქემა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ ფოტოსურათების გადაღების ადგილები და მიმართულებები; ➢ ფოტოსურათების ნომრები.	
10	**CZ.1** მგგ გეგმარების შემზღუდავი ზონირება	**CZ.1.1 გეგმარების შემზღუდავი ზონირების რუკა** ➢ ნახაზის მასშტაბი 1:2000-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ გრგ შეთანხმების მომენტისთვის გენგეგმით დადგენილ ზონირება; ➢ ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრები.	*1. რუკა კეთდება არსებობის შემთხვევაში.* *2. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს ზონირება, უნდა გაკეთდეს განმარტება ტექსტურ ნაწილში.* *3. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 17 მიხედვით ან/და იმ წესის შესაბამისად, რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება.*
11	**CZ.2** მგგ ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება	**CZ.2.1 ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა** ➢ ნახაზის მასშტაბი 1:2000-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ გრგ შეთანხმების მომენტისთვის გენგეგმით დადგენილ ზონირება; ➢ ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრები.	*1. რუკა კეთდება არსებობის შემთხვევაში.* *2. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს ზონირება, უნდა გაკეთდეს განმარტება ტექსტურ ნაწილში.* *3. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 14 მიხედვით ან/და იმ წესის შესაბამისად, რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
12	**CZ.3 მგგ ფუნქციური ზონირება**	**CZ.3.1 ზოგადი/კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა** ➢ ნახაზის მასშტაბი 1:2000-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ გრგ შეთანხმების მომენტისთვის გენგეგმით დადგენილ ზონირება; ➢ ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრები.	*1. რუკა კეთდება მგგ მიხედვით* *2. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 15 მიხედვით ან/და იმ წესის შესაბამისად, რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება.*
13	**CZ.4** გრგ გეგმარების შემზღუდავი კონკრეტული ზონირება	**CZ.4.1 გეგმარების შემზღუდავი დაზუსტებული ზონირების რუკა** ➢ ნახაზის მასშტაბი 1:500-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ გეგმარების შემზღუდავი ქვეზონები; ➢ ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრები.	*1. რუკა კეთდება შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში.* *2. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს გეგმარების შემზღუდავი ქვეზონები, უნდა გაკეთდეს განმარტება ტექსტურ ნაწილში.* *3. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 17 მიხედვით ან/და იმ წესის შესაბამისად, რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება.*
14	**CZ.5** გრგ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება	**CZ.5.1 ტერიტორიულ-სტრუქტურული დაზუსტებული ზონირების რუკა** ➢ ნახაზის მასშტაბი 1:500-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ გრგ დადგენილი ტერიტორიულ-სტრუქტურული ქვეზონები: ქვეცენტრი, კარკასი, კარკასთშორისი ტერიტორიები. ➢ ნახაზზე მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საზღვრები.	*1. ქვეზონები გამოიყოფა დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე* *2. თუ ქვეზონები არ დადგინდა რუკა არ მოითხოვება , უნდა გაკეთდეს განმარტება ტექსტურ ნაწილში.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
15	CZ.6 გრზ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.6.1 საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით); ➢ ნახაზის მასშტაბი 1:500-5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით); ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები – ლურჯი წყვეტილი ხაზით გამოყოფილი (გარკვევით).	*საპროექტო საზღვრები უნდა გამეორდეს ზონირების, საინჟინრო და თემატური ნაწილების რუკებზე, აქ მოცემული პირობითი აღნიშვნის გამოყენებით*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
16	CZ.7 გრზ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.7.1 დადგენილი ზონები და გამოყენების სახეობების რუკა** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ დაზუსტებული კონკრეტული ფუნქციური ზონირება; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც ვრცელდება ერთგვაროვანი ზონები; ➢ გეგმარებითი ერთეულების რეგულირების პარამეტრების ცხრილი: ❖ ზონაში დასაშვები გამოყენების სახეობებიდან პროექტით გათვალისწინებული, მათ შორის ძირითადი ან/და საგამონაკლისო; ❖ განსაზღვრული გამოყენების სახეობებისთვის მოცემული უნდა იყოს ფუნქციები (ნახაზზე ასევე უნდა ჩანდეს ფუნქციური ერთგვაროვნების/შერეულობის წილი პროცენტებში).	*1. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 15 მიხედვით (ზონების ფერები უნდა შეესაბამებოდეს გენგეგმით დადგენილს);* *2. გამოყენების სახეობები შესაძლებელია მოცემული იყოს ჩამონათვლის სახით, ან კონკრეტული სახეობის მითითებით. საგამონაკლისო გამოყენების სახეობები უნდა მიებას ცალკეულ მიწის ნაკვეთებს, გამიჯვნის სქემის შესაბამისად*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
17	CZ.8 გრძ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.8.1 მიწის ნაკვეთის კოეფიციენტების კ-1, კ-2, კ-3 დადგენის წესი** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც გამოყოფილია კონკრეტული ფუნქციური ზონები; ➢ გეგმარებითი ერთეულების რეგულირების პარამეტრების ცხრილი: ❖ განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1; ❖ განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2; ❖ გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3	*1. პარამეტრების ცხრილში მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ გათვალისწინებული ზონის შესაბამისი, მიწის ნაკვეთის* *2. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 16 მოთხოვნათა დაცვით ან იმ წესის შესაბამისად რითაც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება* *3. კ-1, კ-2 და კ-3 მოცემული უნდა იყოს ცალკეული გეგმარებითი ერთეულისთვის (როცა რამდენიმე მიწის ნაკვეთს საერთო აქვს), ხოლო ცალკე მიწის ნაკვეთებისთვის გამოიყოფა მხოლოდ გადამეტებული პარამეტრები - გამონაკლისი, რაც უნდა იყოს დასაბუთებული ტექსტურ ნაწილში (ნაკვეთის ნომრის მითითებით) და განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება.* *4. კ-1, კ-2 და კ-3 განესაზღვრება ერთეულ მიწის ნაკვეთს და არა მთელს ტერიტორიას ჯამურად*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
18	**CZ.9** გრგ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.9.1 შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის რუკა** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც გამოყოფილია კონკრეტული ფუნქციური ზონები; ➢ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის პარამეტრების ცხრილი: ❖ სიმაღლის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს: გრუნტის ზედაპირიდან მაქსიმალური სიმაღლე მეტრებში; ❖ სართულიანობის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს რა ტიპის სართულებია დადგენილი: სრული, არასრული, მანსარდის და სხვა. ➢ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის სქემები (ნახაზზე) და მისი ანგარიშის ფორმულა H=L/Y (ცხრილში): ❖ სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის სქემები ცალ-ცალკე უნდა შესრულდეს განსხვავებული სიგანის საზოგადოებრივი სივრცეების მიმართ და ერთი — უკანა ეზოს მიმართ. ❖ შესაძლებელია ფრაგმენტული ნახაზების ცალკე მომზადებაც, რაც მიბმული უნდა იყოს მოცემულ რუკას. ❖ ანგარიშის ფორმულაში Y მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს გრგ დადგენილ ზონას.	*1. რუკაზე მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ გათვალისწინებული ზონის შესაბამისი, მიწის ნაკვეთის* *2. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 16 მოთხოვნათა დაცვით ან იმ წესის შესაბამისად რითაც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება* *3. სიმაღლე ან/და სართულიანობა მოცემული უნდა იყოს ცალკეული გეგმარებითი ერთეულისთვის (როცა რამდენიმე მიწის ნაკვეთს საერთო აქვს), ხოლო ცალკე მიწის ნაკვეთებისთვის გამოიყოფა მხოლოდ განსხვავებული ან გადამეტებული პარამეტრები - გამონაკლისი, რაც უნდა იყოს დასაბუთებული ტექსტურ ნაწილში (ნაკვეთის ნომრის მითითებით) და განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება. გამონაკლისი მიწის ნაკვეთი შესაბამისად უნდა გამოიყოს ნახაზზე და გააჩნდეს დამოუკიდებელი პარამეტრების ცხრილი.* *4. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 31 მოთხოვნათა დაცვით ან იმ წესის შესაბამისად, რითაც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება* *5. გამონაკლისი განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენაში დაუშვებელია — არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონით „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
19	**CZ.10** გრგ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.10.1 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის რუკა** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც გამოყოფილია კონკრეტული ფუნქციური ზონები; ➢ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების პარამეტრების ცხრილი: ❖ ფართობი მითითებული უნდა იყოს 1 კვ.მ სიზუსტით; ❖ ზომები მითითებული უნდა იყოს 1 მ სიზუსტით.	*1. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 14 მიხედვით ან იმ წესის შესაბამისად რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება;* *2. ფართობი და ზომები მოცემული უნდა იყოს ცალკეული გეგმარებითი ერთეულისთვის (როცა რამდენიმე მიწის ნაკვეთს საერთო აქვს), ხოლო ცალკე მიწის ნაკვეთებისთვის გამოიყოფა მხოლოდ განსხავებული ან გადამეტებული პარამეტრები - გამონაკლისი, რაც უნდა იყოს დასაბუთებული ტექსტურ ნაწილში (ნაკვეთის ნომრის მითითებით) და განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება.* *3. გამონაკლისი მიწის ნაკვეთი შესაბამისად უნდა გამოიყოს ნახაზზე და გააჩნდეს დამოუკიდებელი პარამეტრების ცხრილი*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
20	**CZ.11** გრგ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.11.1 განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობის დადგენის რუკა** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც გამოყოფილია კონკრეტული ფუნქციური ზონები; ➢ სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობის ცხრილი: ❖ ღია; ❖ დახურული; ❖ შერეული	*1. რუკაზე მოცემული უნდა იყოს დავალების შესაბამისი, მიწის ნაკვეთების განაშენიანების:* *2. ფართობი და ზომები მოცემული უნდა იყოს ცალკეული გეგმარებითი ერთეულისთვის (როცა რამდენიმე მიწის ნაკვეთს საერთო აქვს), ხოლო ცალკე მიწის ნაკვეთებისთვის გამოიყოფა მხოლოდ წყობის განსხვავებული სახეობა.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
21	CZ.12 გრფ კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა	**CZ.12.1 ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის რუკა** ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ სამშენებლო განვითარების გეგმარებითი ერთეულები, სადაც გამოყოფილია კონკრეტული ფუნქციური ზონები; ➢ აუცილებელი (მინიმალური) ადგილების რაოდენობის ცხრილი: ❖ ადგილების რაოდენობა უნდა მიეთითოს პირდაპირ რიცხობრივად ან მიბმული უნდა იყოს კ-2 კოეფიციენტზე (მაგ. 1 ადგილი კ-2 ყოველ 100 კვ. მ)	*1. რუკაზე მოცემული უნდა იყოს დავალების შესაბამისი, მიწის ნაკვეთების განაშენიანების:* *— მიწის ნაკვეთზე აუცილებელი (მინიმალური) ადგილების რაოდენობა* *2. ადგილების რაოდენობა მოცემული უნდა იყოს ცალკეული გეგმარებითი ერთეულისთვის (როცა რამდენიმე მიწის ნაკვეთს საერთო აქვს), ხოლო ცალკე მიწის ნაკვეთებისთვის გამოიყოფა მხოლოდ განსხვავებული ან/და გამონაკლისი, რაც უნდა იყოს დასაბუთებული ტექსტურ ნაწილში (ნაკვეთის ნომრის მითითებით) და განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება.*

22	CZ.13 გრფ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.13.1 მიწის ნაკვეთების განაწილების/გამიჯვნის რუკა** ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები, ➢ მიწის ნაკვეთის ნომერი ან საკადასტრო კოდი;	

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
23	CZ.13 გრზ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების რუკა** ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემა: ❖ განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზები; ❖ განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზები; ❖ ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი (აკრძალვა ან დაშვება) — ცხრილში; ❖ ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის განთავსების დაგეგმვისას, წარმოსახვითი სამეზობლო მიჯნები.	*1. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების (14-39) მუხლი 30 მიხედვით ან იმ წესის შესაბამისად რითიც დამტკიცებულია გეგმარებითი დავალება;* *2. წითელი და ლურჯი ხაზები გამოყოფილი უნდა იყოს წყვეტილ-წერტილი ხაზებით და მითითებული უნდა იყოს დაშორების ზომები (1 მ სიზუსტით). ამასთან:* *● წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს; წითელი ხაზით გამოიყოფა მიწის ნაკვეთის უკანა ეზოც.* *● ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს.*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
24	**CZ.15** გრზ კონკრეტული ფუნქციური ზონირება	**CZ.15.1 მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი** ➢ გეგმა მ 1:500-1000: ❖ ნომერი ან საკადასტრო კოდი (C.Z.13 შესაბამისობით); ❖ მისაკუთვნებელი ფართობი (1 კვ.მ სიზუსტით) - (C.Z.13 შესაბამისობით); ❖ ნაკვეთის საზღვრების ზომები და კოორდინატები UTM კოორდინატთა სისტემაში (C.Z.13 შესაბამისობით). ➢ **განაწილების სიტუაციური გეგმა მ 1:5000-10000**: ❖ დაგეგმილი განაწილების რუკა (C.Z.13), განხილული ნაკვეთის მონიშვნით ➢ **მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები**: ❖ დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო — ფუნქციურ ზონასთან შესაბამისობით); ❖ გეგმარების შემზღუდავი ზონა ან ქვეზონა (C.Z.4) (თუ არ არსებობს — არ ივსება); ❖ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა ან ქვეზონა (C.Z.5); ❖ კონკრეტული ფუნქციური ზონა (C.Z.7); ❖ სამშენებლო გამოყენების სტატუსი (სამშენებლო, სამშენებლოდ შეზღუდული, არასამშენებლო); ❖ გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქცია (C.Z.7); ❖ კოეფიციენტები: კ-1, კ-2, კ-3 (C.Z.8); ❖ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან სართულიანობა (C.Z.9); ❖ ავტოსადგომების აუცილებელი / მინიმალური რაოდენობა (C.Z.12); ❖ შენობების განთავსება (C.Z.14).	*1. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ერთ ფურცელზე ერთი მიწის ნაკვეთი;*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
25	**CI.1** – გრგ ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელი	**CI.1.1 ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ არსებული ან/და დაგეგმილი ძირითადი და ლოკალური გზები და ქუჩები, სადაც მითითებული უნდა იყოს: ❖ ქუჩების/გზების იერარქია (სახელმწიფო, საქალაქო, საუბნო) და კატეგორიები (I, II, III - მთავრობის 57-ე დადგენილების მიხედვით); ❖ გაბარიტული ზომები იერარქიის ან/და კატეგორიების მიხედვით და ფრაგმენტული კვანძების ჩვენებით მსხვილ მასშტაბში.	

26	**CI.2** გრგ ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელი	**CI.2.1 ძირითადი და ლოკალური გზები და ქუჩები — ავტოსადგომების განაწილების რუკა *** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ ავტოსადგომების განლაგების სქემა (მიწისქვეშა ან/და მიწისზედა)	*1. ზონირების ნაწილში მოცემული ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის მინიმალური/აუცილებელი ავტოსადგომების რაოდენობის გათვალისწინებით*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
27	**CI.3** გრგ მირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელი	**CI.3.1 მირითადი და ლოკალური გზები და ქუჩები — საგზაო მოძრაობის ორგანიზების რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა: ❖ დანიშნულება (საავტომობილო, საველოსიპედო, საქვეითო, შერეული); ❖ გამტარიანობის ინდიკატორი (ერთეული საათში).	*1. სქემაზე ასახული უნდა იყოს საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილის გადაადგილების რეჟიმი: გამოყოფილი სივრცე, მიმართულებები და ინტენსივობა* *2. სრული სტანდარტის ამოქმედების შემდეგ: სქემა შეთანხმებული უნდა იყოს თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციასთან*
28	**CI.4** გრგ წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების მირითადი და ლოკალური ქსელი	**CI.4.1 წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების მირითადი და ლოკალური ქსელის რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების მირითადი და ლოკალური ქსელი: ❖ კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეები	*1. მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისი, საპროექტო ტერიტორიის:* *2. თუ გრგ არ განსაზღვრავს ტერიტორიის წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების (კანალიზაცია) ქსელით უზრუნველყოფას, წარმოდგენილ უნდა იქნას ალტერნატიული უზრუნველყოფის გადაწყვეტები ამავე დასახელების რუკა და ტექსტურ ნაწილში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი განმარტებები და დასაბუთება. (მაგ. ჭა და სალექარი, სოფლის ტიპის დასახლებებისთვის)* *3. სრული სტანდარტის ამოქმედების შემდეგ: ქალაქის ქსელთან დაერთების დროს, რუკა შეთანხმებული უნდა იყოს სერვისი მიმწოდებელ, ლიცენზიის მფლობელ კომპანიასთან (GWP)*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
29	**CI.5** გრზ ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი	**CI.5.1 ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე; ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი: ❖ კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეები	*1. მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად;* *2. თუ გრგ არ განსაზღვრავს ტერიტორიის ელექტრომომარაგების ქსელით უზრუნველყოფას, წარმოდგენილ უნდა იქნას ალტერნატიული უზრუნველყოფის გადაწყვეტები ამავე დასახელების რუკა და ტექსტურ ნაწილში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი განმარტებები და დასაბუთება. (მაგ. მზის ან/და ქარის ენერგია).* *3. სრული სტანდარტის ამოქმედების შემდეგ: ქალაქის ქსელთან დაერთების დროს, რუკა შეთანხმებული უნდა იყოს სერვისი მიმწოდებელ, ლიცენზიის მფლობელ კომპანიასთან (თელასი)*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
30	**CI.6** – გრგ ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი	**CI.6.1 ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტოდაგაღება (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე — აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულები (*UTM-კოორდინატთა სისტემაში*); ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელი: ❖ კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეები	*1. მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად;* *2. თუ გრგ არ განსაზღვრავს ტერიტორიის ბუნებრივი აირის ქსელით უზრუნველყოფას, წარმოდგენილ უნდა იქნას ალტერნატიული უზრუნველყოფის გადაწყვეტები ამავე დასახელების რუკა და ტექსტურ ნაწილში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი განმარტებები და დასაბუთება. (მაგ. მზის ან/და ქარის ენერგია).* *3. სრული სტანდარტის ამოქმედების შემდეგ: ქალაქის ქსელთან დაერთების დროს, რუკა შეთანხმებული უნდა იყოს სერვისი მიმწოდებელ, ლიცენზიის მფლობელ კომპანიასთან (ყაზტრანსგაზი)*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
31	**CI.7** გრგ სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი	**CI.7.1 სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე — აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულები (*UTM-კოორდინატთა სისტემაში*); ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელი: ❖ კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეები	*1. მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად;* *2. სრული სტანდარტის ამოქმედების შემდეგ: ქალაქის ქსელთან დაერთების დროს, რუკა შეთანხმებული უნდა იყოს სერვისი მიმწოდებელ, ლიცენზიის მფლობელ კომპანიასთან (მერიის კეთილმოწყობის სამსახური)*

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
32	CV.5 დენდროლოგია	**CV.5.1 გამწვანების დენდროლოგიური რუკა** ➢ ნახაზის ფუძე აეროფოტო (უახლესი პერიოდის, თარიღის მითითებით) ან ტოპოგრაფიული გეგმა ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:2000-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ კოორდინატთა ბადე — აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულები (*UTM-კოორდინატთა სისტემაში*); ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ გამწვანების დენდროლოგიური აღწერა: ❖ არსებული ხე-ნარგავები (მათი მოჭრის ან/და გადარგვის დაგეგმვის შემთხვევაში, შესაბამისად უნდა იყოს მონიშნული და დანომრილი) ❖ საპროექტო გამწვანება — ხე-ნარგავების გაშენების არეალები და ტაქსაცია (ხე-ნარგავის ჯიში)	*1. მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად;* *2.* ***ხე-ნარგავების ადგილმდებარეობა არ უნდა ემთხვეოდეს საპროექტო შენობა-ნაგებობების მდებარეობას.***

N	ნაწილი	შემადგენელი ხარისხობრივი მაჩვენებელი	შენიშვნა
33	CV.6 ვიზუალიზაცია	**CV.6.1 გრგ ვიზუალიზაცია** ➢ ნახაზის მასშტაბი მ 1:500-1:5000 (გეგმარებითი დავალების შესაბამისად ან/და დაგეგმვის საჭიროების მიხედვით) ➢ საპროექტო ტერიტორიის საზღვრები; ➢ მიწის ნაკვეთების საპროექტო საზღვრები; ➢ განშლების ან/და ჭრილების ნახაზები; ➢ სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული მაკეტი	*მოცემული უნდა იყოს დავალების ან/და გრგ მიზნების შესაბამისად*